ახალგაზრდების დამოკიდებულების კვლევა უმაღლესი განათლების და სტაჟირების საკითხებზე საქართველოში

კვლევის ანგარიში

მომზადებულია საქართველოს ახალგაზრდა სოციალისტების მიერ

ფრიდრიხ ებერტის ფონდის მხარდაჭერით

თბილისი, 2017

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი 4

1. კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია 5

2. ძირითადი მიგნებები 6

3. კვლევის შედეგები 9

3.1 სტუდენტების სოციო-დემოგრაფიული პროფილი 9

3.2 უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა საქართველოში 12

3.4 უმაღლესი განათლების ხარისხი საქართველოში არსებულ სახელმწიფო საგანმანათებლო დაწესებულებებში 21

3.5 სტაჟირების და დასაქმების პერსპექტივები სტუდენტებისთვის 34

სარჩევი - ცხრილები

ცხრილი 1. A3. სქესი (რესპონდენტების რაოდენობა) - ქალაქის ჭრილი 9
ცხრილი 2. B6. - B7. - B8. სხვადასხვა საკანონმდებლო საკითხების ცნობადობა 17
ცხრილი 3. B9. - B11. ონლაინ სერვისების ხელმისაწვდომობა უმაღლეს სასწავლებელში 20
ცხრილი 4. C5. თქვენი აზრით რამდენად პასუხობს უნივერსიტეტში მიღებული უნარები/ცოდნა დღეს დასაქმების ბაზარზე არსებულ მოთხოვნებს? 23
ცხრილი 5. D1. თვლით თუ არა რომ საუნივერსიტეტო ცხოვრება მორგებულია სტუდენტზე? 24
ცხრილი 6. D4. - D5. უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელი 27
ცხრილი 7. D7. თქვენი აზრით, საქართველოში არსებული სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაცია სათანადოდ ასრულებს თუ არა მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს? 28
ცხრილი 8. E3. თქვენ როგორც სტუდენტი, რომელი სოციალური შეღავათით/სერვისებით სარგებლობთ? - დასაშვები იყო რამდენიმე პასუხი 30
ცხრილი 9. E1. რა წინააღმდეგობებს აწყდებიან სტუდენტები, რომლებსაც უნდათ დასაქმება? – დასაშვები იყო რამდენიმე პასუხი 34

სარჩევი - გრაფიკები

გრაფიკი 1. A3. ასაკი - სქესის ჭრილი 9
გრაფიკი 2. დემოგრაფიული მაჩვენებლები 10
გრაფიკი 3. A7. ოჯახური მდგომარეობა. A8. შვილების რაოდენობა 11
გრაფიკი 4. A9. პირადი ყოველთვიური შემოსავალი - სქესის ჭრილი 12

გრაფიკი 5.B1.ხელმისაწვდომი განათლება - სქესის ჭრილი 13
გრაფიკი 6. B2. სპეციალური საჭიროების მქონე პირებზე მორგებული განათლება..... 14
გრაფიკი 7. B5. უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის თანაბარი შესაძლებლობები და მიზეზები..... 15
გრაფიკი 8. B3. - B4. საგრანტო სისტემა 16
გრაფიკი 9. E6. გთხოვთ წაიკითხოთ ორი განსხვავებული დებულება და მიუთითოთ საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით რომელი წინადადება შეესაბამება სიმართლეს: 18
გრაფიკი 10. E7. გთხოვთ წაიკითხოთ ორი განსხვავებული დებულება და მიუთითოთ საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით რომელი წინადადება შეესაბამება სიმართლეს: 18
გრაფიკი 11. E8. გთხოვთ წაიკითხოთ ორი განსხვავებული დებულება და მიუთითოთ საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით რომელი წინადადება შეესაბამება სიმართლეს: 19
გრაფიკი 12. B10. საგანმანათლებლო სახელმძღვანელოების ხელმისაწვდომობა 21
გრაფიკი 13. C1. - C2. საქართველოში არსებული სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის /კვალიფიკაციის დონე..... 22
გრაფიკი 14. C3. თვლით თუ არა რომ უნივერსიტეტში მიღებული კვალიფიკაცია გაძლევთ დასაქმების საშუალებას - უარყოფითი პასუხის შემთხვევაში ახსენით მიზეზი..... 22
გრაფიკი 15. C4. საქართველოში არსებული სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წლიური გასასახადის შესაბამისობა სწავლების ხარისხთან 24
გრაფიკი 16. D2. ჩამოთვალეთ ყველა დადებითი ასოციაცია რაც გახსენდებათ უნივერსიტეტთან დაკავშირებით. 25
გრაფიკი 17. D3. ჩამოთვალეთ ყველა უარყოფითი ასოციაცია რაც გახსენდებათ უნივერსიტეტთან დაკავშირებით. 26
გრაფიკი 18. D6. ზრუნავს თუ არა თქვენი უნივერსიტეტი სტუდენტებზე - ქალაქის ჭრილი..... 29
გრაფიკი 19. E9. - E10. უნივერსიტეტის ვალდებულებები 31
გრაფიკი 20. E11. აკმაყოფილებს/შეესაბამება თუ არა უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა სტუდენტების საჭიროებებს? - ქალაქის ჭრილი 32
გრაფიკი 21. E13. უნდა შეუჩერდეს თუ არა სტუდენტს სტატუსი ფინანსური დავალიანების გამო - პოზიტიური პასუხის შემთხვევაში დაასაბუთეთ..... 33
გრაფიკი 22. E2. სტუდენტების დასაქმება..... 35
გრაფიკი 23. E4. ეთანხმებით თუ არა დებულებას: უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს სტუდენტური სტაჟირების პროგრამები..... 35
გრაფიკი 24. E5. თქვენი აზრით რას იღებთ ხარისხიანი სტაჟირების შედეგად - დასაშვები იყო რამდენიმე პასუხი..... 36
გრაფიკი 25. E14. უნდა იყოს თუ არა სტაჟირება ანაზღაურებადი სტუდენტებისთვის უმაღლეს სასწავლებელში სწავლის პერიოდში?..... 37
გრაფიკი 26. E15. სტუდენტის თვიური ანაზღაურება 37
გრაფიკი 27. E16. სტაჟორის უფლებების დაცვა..... 38

დანართი #1 - კვლევის ინსტრუმენტი

დანართი #2 - კვლევის ბაზები

შესავალი

საქართველოს ახალგაზრდა სოციალისტები წარმოადგენენ ახალგაზრდულ, არასამთავრობო, დამოუკიდებელ, პოლიტიკურ ორგანიზაციას, რომელიც ეფუძნება სოციალ დემოკრატიულ იდეოლოგიას და ღირებულებებს.

ორგანიზაციის მთავარ მიზანს წარმოადგენს ახაგაზრდების როლის გაზრდა, მათი გააქტიურება და მხარდაჭერა საქართველოს პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობისთვის, რომელსაც ანხორციელებს პოლიტიკური კამპანიების, არაფორმალური განათლების და საერთაშორისო გამოცდილების დახმარებით.

ბოლო წლების განმავლობაში ახალგაზრდა სოციალისტების ორგანიზებით სტუდენტურ პრობლემებსა და სტუდენტურ თემატიკაზე რამდენიმე პროექტი განხორციელდა, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა სტუდენტური პრობლემების შესწავლა და მათი გადაჭრის გზებზე მუშაობა.

2011 წელს ფრიდრიხ ებერტის ფონდის მხარდაჭერით ახალგაზრდა სოციალისტებმა განახორციელეს პროექტი „გაიაზრე და გაგვიზიარე“, რომელიც გულისხმობდა სტუდენტებში სხვადასხვა პრობლემების გამოვლენას: ხარისხიანი და ხელმისაწვდომი განათლება, სტუდენტური დასაქმება, სტუდენტური დაზღვევა და სხვა. პროქტის დასკვნით ეტაპზე შემუშავდა დოკუმენტი „სტუდენტური ქარტია“, სადაც აღწერილი იყო სტუდენტური პრობლემები და ორგანიზაციის ხედვები მათ გადასაჭრელად.

ამ პროექტმა საშვალება მისცა საზოგადოებას დაენახა და აღექვა ეს კონკრეტული პრობლემები და ღიად დაეწყოთ ამ თემებზე საუბარი. მიუხედავად წარსული აქტივობებისა, ეს თემა ორგანიზაციისთვის მაინც მნიშვნელოვანი რჩება.

არ არსებობს კვლევა სტუდენტთა და უმაღლესი განათლეების სიტემის პრობლემების შესახებ, რომელიც ზუსტად გვაჩვენებდა არსებულ რეალობას. არ არსსებობს უნივერსალური დოკუმენტი რომელიც, კვლევაზე დაყრდნობით წინ წამოწევს განსაკუთრებულად მწვავე სტუდენტურ პრობლემებს. დროთა განმავლობაში არსებული პრობლემები კიდევ უფრო მძიმდებადა ვიღებთ სავალალო მდგომარეობას.

საერთო სურათს უფრო ამძიმებს ის გარემოება, რომ სტუდენტთა უმრავლესობის ცნობიერების დონე არის საკმაოდ დაბალი და აქედან გამომდინარე მათი უმრავლესობა ვერ ახერხებს საუნიერსიტეტო ცხოვრებასა და აქტივობებში მაქსიმალურად ჩართვას, არაა დაინტერესებული საერთო პრობლემების გამოვლენითა და მათზე მუშაობით, რაც იწვევს თემის აქტუალურობის კლებას და შესაბამისად პასუხისმგებელი ორგანოებისმოდუნებას. ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე აუცილებელია მოხდეს პრობლემების კლასიფიკაცია და დაიწყოს გადაჭრის გზებზე მუშაობა პრიორიტეტულობის მიხედვით სტუდენტებისა და დაინტერესებული მხარეების მაქსიმალური ჩართულობით.

1. კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია

„ახალგაზრდების დამოკიდებულების კვლევის უმაღლესი განათლების და სტაჟირების საკითხებზე საქართველოში“ განსახორციელებლად გამოყენებული იქნა რაოდენობრივი კვლევის მეთოდი რომელიც მოიცავდა ონლაინ თვითადმინისტრირებად და ასევე პირისპირ ინტერვიუებს. მოცემული ინტერვიუები განხორციელდა წინასწარ შემუშავებული კითხვარით რომელშიც ძირითადად შევიდა დახურული შეკითხვები (შეკითხვები წინასწარ მოცემული პასუხებით საიდანაც რესპონდენტი ირჩევს ერთ ან რამოდენიმე პასუხს ინსტრუქციის შესაბამისად).

საკვლევ სეგმენტად განისაზღვრა 17-31 წლის ახალგაზრდები რომლებიც სწავლობენ სახელმწიფო უნივერსიტეტებში და ამჟამად ცხოვრობენ საქართველოს ხუთ დიდ ქალაქში: თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, ზუგდიდი და თელავი.

ონლაინ კვლევისათვის რესპონდნეტების მოსაძიებლად გავრცელდა ინფორმაცია სოციალური ქსელების მეშვეობით. ასევე დამატებით რესურსად გამოყენებულ იქნა ახალგაზრდა სოციალისტების მიერ ჩატარებული აქციები მოცემული ინფორმაციის გასავრცელებლად. სულ ონლაინ კვლევის ფარგლებში შეივსო 1000 ინტერვიუ.

პირისპირ ინტერვიუები ჩატარდა საკვლევი ქალაქების უნივერსიტეტებთან, ასევე მასობრივი თავშეყრის ადგილებში. სულ განხორციელდა 850 პირისპირ ინტერვიუ.

2. ძირითადი მიგნებები

სტუდენტების სოციო-დემოგრაფიული პროფილი

- საქართველოს ხუთ ძირითად საუნივერსიტეტო ქალაქში: თბილისში, ქუთაისში, ზუგდიდში, ბათუმსა და თელავში კვლევის ფარგლებში სულ გამოიკითხა 17-31 წლის 1850 სტუდენტი.
- ძირითადად გამოკითხულია 17-21 წლის ბაკალავრიატის სტუდენტები.
- რესპონდენტი გოგონების წილი დიდწილად აღემატება რესპონდენტი ბიჭების რაოდენობას (გოგონები - 65%, ბიჭები - 35%).
- გამოკითხული სტუდენტების ნახევრაზე მეტი (53%) სამსახურის ძიებაშია.
- რესპონდენტების უმრავლესობა აცხადებს, რომ დასაოჯახებელი ან თავისუფალია (88%).
- ზოგადად, შემოსავალს სტუდენტი გოგონების და ბიჭების თანაბარი რაოდენობა ასახელებს (18%). თუმცა, დაბალი შემოსავალი გამოკითხული გოგონების მეტ წილს აქვს (16%), ვიდრე ბიჭების (11%).

უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა საქართველოში

- გამოკითხული სტუდენტების თითქმის ნახევარი აცხადებს, რომ საქართველოში განათლების მიღება ფინანსურად მეტნაკლებად ხელმისაწვდომია.
- ყოველი მესამე რესპონდენტის აზრით, საქართველოში უმაღლესი განათლება არ არის მორგებული სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტებზე (34%%).
- სტუდენეტბის დიდი წილი (41%) არ მიიჩნევს უმაღლეს სასწავლებელში სწვალას ყველა ახალგაზრდისთვის თანაბრად ხელმისაწვდომად და საკუთარი მოსაზრების გასამყარებლად არათანაბარ ფინანსურ შესაძლებლობებს ასახელებენ.
- სტუდენტების დიდი ნაწილისთვის **ოთხწლიანი** (40%) და **ერთწლიანი** (46%) საგრანტო სისტემები, ორივე თითქმის თანაბრად მისაღებია.
- ზოგადად სხვადასხვა საკანონმდებლო საკითხების ცნობადობა შედარებით მაღალია გამოკითხულ ბიჭებში (ტენუარი - **17%,** გარე რეფერერირება - **26%,** უმაღლესი განათლების შესახებ კანონი - 51%), ვიდრე გოგონებში (ტენუარი - 11%, გარე რეფერერირება - 21%, უმაღლესი განათლების შესახებ კანონი - 49%).
- მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტების ნახევარი (49%) ამბობს, რომ იცნობს საქართველოს კონონმდებლობას უმაღლესი განათლების შესახებ, კვლევის შედეგების მიხედვით მხოლოდ ყოველი მეოთხე გამოკითხული სტუდენტი ასახელებს სწორ დებულებას საუნივერსიტეტო მოწყობის სხვადასხვა საკითხებზე (საშუალოდ 27%).

- უმაღლეს სასწავლებლებში მხოლოდ ყოველი მესამე გამოკითხული სტუდენტისათვის არის ხელმისაწვდომი გამართული ონლაინ ბიბლიოთეკა და ელექტრონული სისტემა.
- გამოკითხული სტუნდეტების 44%-თვის საგანმანათლებლო სახელმძვანელოები არ არის ხელმისაწვდომი.

უმაღლესი განათლების ხარისხი საქართველოში არსებულ სახელმწიფო საგანმანათებლო დაწესებულებებში

- ზოგადად, გამოკითხული სტუდენტები ლექტორების / პროფესორების მაღალკვალიფიციურობას ხუთ ქულიან სკალაზე 3.32 ქულით, ხოლო უმაღლეს სასწავლებელში მისაღები განათლების ხარისხს 2.96 ქულით აფასებენ.

- გამოკითხული სტუდენტების თითქმის ნახევარი (46%) მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტში მიღებული უნარები/ცოდნა დღეს დასაქმების ბაზარზე არსებულ მოთხოვნებს მხოლოდ მეტნაკლებად პასუხობს.

- რესპონდენტების ნახევარი (51%) საქართველოში არსებული სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წლიურ გადასახადს სწავლების ხარისხის არაშესაბამისად მიიჩნევს.

- გამოკითხული სტუდენტების 46% მიიჩნევს, რომ მათ უმაღლეს სასწავლებლებში არსებული საუნივერსიტეტო ცხოვრება არ არის სტუდენტებზე მორგებული.

- უნივერსიტეტთან დაკავშირებით დასახელებულ დადებით ასოციაციებში ძირითადად ლიდერობს იქ შეძენილი მეგობრები და ურთიერთობები.

- რესპონდენტების ნახევარი აცხადებს (48%), რომ საქართველოში არსებული სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაცია სათანადოდ ასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს.

- ზუგდიდში გამოკითხული სტუდენტების უმრავლესობის აზრით უნივერსიტეტები ზრუნავენ სტუდენტებზე (58%), ხოლო ქუთაისში რესპონდენტების მნიშვნელოვანი ნაწილი საპირისპიროს მიიჩნევს (40%).

- სტუდენტების 34% აცხადებს, რომ არანაირი სოციალური შეღავათით / სერვისით არ სარგებლობს.

- ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობაზე პასუხისმგებლად სტუდენტებს განათლების სამინისტრო (41%), თავად უნივერსიტეტები (42%) და ასევე ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებები (40%) მიაჩნიათ.

სტაჟირება და დასაქმების პერსპექტივები სტუდენტებისთვის

- სტუდენტების უმრავლესობას უჭირს სამსახურის და სწავლის ერთმანეთთან შეთავსება (58%). რესპონდენტების 46% მიიჩნევს, რომ მათ დასაქმებაში პირადი კონტაქტების არ ქონა და შრომის ბაზარზე არსებული ნეპოტიზმი უშლის ხელს.

- უმრავლესობის აზრით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები მათ სტუდენტებს დასაქმებაში უნდა ეხმარებოდნენ (88%) და ასევე სტუდენტური სტაჟირების პროგრამებს უზრუნველყოფდნენ (75%).

- სტუდენტების აზრით ხარისხიანი სტაჟირების შედეგად ისინი პირველ რიგში შესაბამისა სამუშაო უნარ-ჩვევებს უნდა იძენდნენ (71%) და იმავდროულად დასაქმების პერსპეტივაც უნდა ჰქონდეთ იმავე კომპანიებში (55%).

- რესპონდენტების უმრავლესობა თვლის, რომ სტუდენტებისთვის უმაღლეს სასწავლებელში სწავლის პერიოდში სტაჟირება ანაზღაურებადი უნდა იყოს (79%) და სტაჟორები 101-300 ლარს უნდა იღებდნენ თვიურ ანაზღაურებად (62%).

- გამოკითხული სტუდენტების მხოლოდ 9% მიიჩნევს, რომ საქართველოში ამჟამად სტაჟორების უფლებები დაცულია.

3. კვლევის შედეგები

3.1 სტუდენტების სოციო-დემოგრაფიული პროფილი

საქართველოს ხუთ ძირითად საუნივერსიტეტო ქალაქში: თბილისში, ქუთაისში, ზუგდიდში, ბათუმსა და თელავში კვლევის ფარგლებში სულ გამოიკითხა 17-31 წლის 1850 სტუდენტი. თითოეულ ქალაქში გამოიკითხა 250-300 სტუდენტი. თბილისში 750-მა ახალგაზრდამ უპასუხა „ახალგაზრდა სოციალისტების“ მიერ დასმულ შეკითხვებს ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობაზე, საუნივერსიტეტო ცხოვრებასა და სტაჟირებაზე. აღსანიშნავია, რომ ყველა საუნივერსიტეტო ქალაქში გამოკითხული სტუდენტი გოგონების წილი აღემატება გამოკითხული რესპონდენტი ბიჭების რაოდენობას.

ცხრილი 1. A3. სქესი (რესპონდენტების რაოდენობა) - *ქალაქის ჭრილი*

	მდედრობითი	მამრობითი	სულ
თბილისი	491	259	750
ქუთაისი	202	98	300
ზუგდიდი	139	111	250
ბათუმი	209	91	300
თელავი	157	93	250
სულ	**1198**	**652**	**1850**

ზოგადად, კვლევის ფრაგლებში მეტწილად გამოკითხულია 17-21 წლის სტუდენტები (75% - გოგონები, 68% - ბიჭები). 27 წლის ზემოთ მხოლოდ რამდენიმე სტუდენტია გამოკითხული (2% - გოგონები, 4% - ბიჭები).

გრაფიკი 1. A3. ასაკი - *სქესის ჭრილი*



რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობა სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტია (98%). გამოკითხული სტუდენტების ასაკის გათვალისწინებით (ძირითადად 17-21 წელი), მათი უმეტესობა ბაკალავრიატის სტუდენტებია (89%). რესპონდენტების მხოლოდ შვიდი პროცენტი სწავლობს მაგისტრატურაზე, ხოლო ერთი პროცენტი დოქტურანტურაზე.

აღსანიშნავია, რომ კვლევის ფარგლებში გამოკითხული სტუდენტების მხოლოდ 28%-ია დასაქმებული და მათი უმრავლესობის სამუშაო უმაღლეს სასწავლებელში დასაუფლებელი სფეროს მიღმაა. ამასთანავე, ზოგადად გამოკითხული სტუდენტების ნახევრაზე მეტი (53%) სამსახურის ძიებაშია.

გრაფიკი 2. დემოგრაფიული მაჩვენებლები



რესპონდენტების უმრავლესობა აცხადებს, რომ დასაოჯახებელი ან თავისუფალია (88%). კვლევის ფარგლებში გამოკითხული სტუდენტებიდან დაოჯახებულების წილი ყველაზე მაღალი 27-31 წლის ახალგაზრდებშია (35%). შვილები სტუდენტების ძალიან მცირე ნაწილს ყავს (7%).

გრაფიკი 3. A7. ოჯახური მდგომარეობა. A8. შვილების რაოდენობა



შვილების რაოდენობა	
არ ყავთ შვილი	1722
1	86
2	39

პირადი ყოველთვიური შემოსავალი მხოლოდ ყოველ მეხუთე გამოკითხულ სტუდენტს აღამოაჩნდა (18%). კვლევის შედეგების თანახმად სტუდენტების ყოველთვიური შემოსავალი ძირითადად 500 ლარს არ აღემატება. ზოგადად, შემოსავალს სტუდენტი გოგონების და ბიჭების თანაბარი რაოდენობა ასახელებს (18%). თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაბალი შემოსავალი (101-500 ლარი თვეში) გამოკითხული გოგონების მეტ წილს აქვს (16%), ვიდრე ბიჭების (11%). სავარაუდოდ გოგონები უფრო ხშირად თანხმდებიან დაბალ ანაზღაურებას ვიდრე ბიჭები.

გრაფიკი 4. A9. პირადი ყოველთვიური შემოსავალი - *სქესის ჭრილი*



3.2 უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა საქართველოში

გამოკითხული სტუდენტების თითქმის ნახევარი აცხადებს, რომ საქართველოში განათლების მიღება ფინანსურად მეტნაკლებად ხელმისაწვდომია. ზოგადად, ჩვენს ქვეყანაში განათლების ხელმისაწვდომობაზე დანარჩენი რესპონდენტების რიცხვი თითქმის თანაბრად იყოფა. ყოველი მეოთხე გამოკითხული ან ეთანხმება მოცემულ მოსაზრებას ან ეწინააღმდეგება.

გრაფიკი 5.B1.ხელმისაწვდომი განათლება - *სქესის ჭრილი*



N=1850

ყოველი მესამე რესპონდენტის აზრით, საქართველოში უმაღლესი განათლება არ არის მორგებული სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტებზე (34%%). თუმცა, გამოკითხულების ნახევარზე მეტი აცხადებს, რომ უმაღლესი განათლება სპეციალურ საჭიროებებზე მეტნაკლებად მორგებულია (52%).

გრაფიკი 6. B2. სპეციალური საჭიროების მქონე პირებზე მორგებული განათლება



კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ სტუდენტების დიდი წილი (41%) არ მიიჩნევს უმაღლეს სასწავლებელში სწავლას ყველა ახალგაზრდისთვის თანაბრად ხელმისაწვდომად და საკუთარი მოსაზრების გასამყარებლად არათანაბარ ფინანსურ შესაძლებლობებს ასახელებენ. თუმცა, ყოველი მესამე გამოკითხულის აზრით შესაძლებლობები უმაღლესი განათლების მიღების თვალსაზრისით ყველასთვის თანაბარია (36%).

უმაღლეს სასწავლებელში განათლების მიღების თანაბარ შესაძლებლობებზე გამოკითხული გოგონებისა და ბიჭების წილი ფაქტიურად არ განსხვავდება.

აღსანიშნავია, რომ ქუთაისში გამოკითხული სტუდენტების უმრავლესობა არ მიიჩნევს, რომ საქართველოში ყველა ახალგაზრდას უმაღლეს სასწავლებელში სწავლის თანაბარი შესაძლებლობა ეძლევა (56%).

გრაფიკი 7. B5. უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის თანაბარი შესაძლებლობები და მიზეზები





კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ სტუდენტების დიდი ნაწილისთვის **ოთხწლიანი** (40%) და **ერთწლიანი** (46%) საგრანტო სისტემები, ორივე თითქმის თანაბრად მისაღებია. თუმცა, ერთწლიან საგრანტო სისტემას ოდნავ მეტი გამოკითხული უჭერს მხარს (46%).

აღსანიშნავია, რომ ერთწლიან საგრანტო სისტემას ყველაზე მეტი მხარდამჭერი ზუგდიდსა (57%) და ქუთაისში (54%), ხოლო ყველაზე ნაკლები მხარდამჭერი თელავში აღმოაჩნდა (33%). კვლევის შედეგების თანხმად ოთხწლიანი სგარანტო სისტემა ყველაზე მისაღები თბილისში გამოკითხული სტუდენტებისთვისაა (47%).

გრაფიკი 8. B3. - B4. საგრანტო სისტემა



სხვადასხვა საკანონმდებლო საკითხებს შორის, ყველაზე დაბალი ცნობადობა „ტენუარს“[1] აღმოაჩნდა (13%). „გარე რეფერირების“[2] შესახებ ყოველ მეოთხე გამოკითხულ სტუდენტს სმენია

[1] ტენუარი - **ტენუირების პრინციპი:** მას შემდეგ, რაც გარე რეფერირების გზით, გამოვლინდება ტენუირებული პროფესორი, იგი უზრუნველყოფილია უვადო კონტრაქტით, რაც ცხადია, გულისხმობს შესაბამისი მოთხოვნების დაკმაყოფილებას (ლექციების ჩატარება, კვლევის წარმოება და ა.შ.), ხოლო პროფესორს უზრუნველყოფს აკადემიური თავისუფლების გარანტიით, რათა მას სრულიად დამოუკიდებლად, მიუკერძოებლად და შეუფერხებლად შეეძლოს პროფესიული განვითარება.

[2] გარე რეფერირება - **მიუკერძოებელი შერჩევა (გარე რეფერირება)** : პროფესორის ხარისხის დადგენის კომპეტენცია გააჩნიათ მხოლოდ და მხოლოდ უმაღლესი ხარისხის მქონე, თავად მაღალი საერთაშორისო დონის მეცნიერ – პროფესორებს,რომლებიც არ მოქმედებენ არანაირი მერკანტილური ინტერესებით და ორიენტირებულნი არიან მხოლოდ ხარისხზე, რაზეც კომპრომისი მათი მხრიდან დაუშვებელია. ეს შერჩევის ერთადერთი სწორი პრინციპია, რომელსაც მთელი მსოფლიო ცნობს, თუმცა ჩვენთვის იგი ნოვატორულია და ზოგ შემთხვევაში უსაგნო კამათის საგნადაც კი იქცევა.

(22%), ხოლო „უმაღლესი განათლების შესახებ კანონზე“[3] რესპონდენტების ნახევარია გათვითცნობიერებული (49%).

უმაღლესი გაანთლების შესახებ კანონზე ყველაზე მაღალი ცნობადობა ბათუმსა (67%) და ზუგდიდში (63%) გამოვლინდა. სხვა საკანონმდებლო საკითხებზე შედარებით მაღალი ცნობადობა დაფიქსირდა ქუთაისში. ***(იხილეთ ცხრილი #2)***

კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ ზოგადად სხვადასხვა საკანონმდებლო საკითხების ცნობადობა შედარებით მაღალია გამოკითხულ ბიჭებში (ტენუარი - **17%,** გარე რეფერერირება - **26%,** უმაღლესი განათლების შესახებ კანონი - 51%), ვიდრე გოგონებში (ტენუარი - 11%, გარე რეფერერირება - 21%, უმაღლესი განათლების შესახებ კანონი - 49%).

ცხრილი 2. B6. - B7. - B8. სხვადასხვა საკანონმდებლო საკითხების ცნობადობა

	თბილისი	ქუთაისი	ზუგდიდი	ბათუმი	თელავი	სულ
გსმენიათ თუ არა კანონზე „უმაღლესი განათლების შესახებ“?	45%	58%	**63%**	**67%**	42%	**49%**
გსმენიათ თუ არა ტენუარის შესახებ?	10%	**19%**	16%	9%	18%	**13%**
გსმენიათ თუ არა გარე რეფერირების შესახებ?	22%	**27%**	24%	16%	25%	**22%**
სრული შერჩევითი ერთობლიობა N=	**750**	**300**	**250**	**300**	**250**	**1850**

მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტების ნახევარი (49%) ამბობს, რომ იცნობს საქართველოს კონონმდებლობას უმაღლესი განათლების შესახებ, კვლევის შედეგების მიხედვით მხოლოდ ყოველი მეოთხე გამოკითხული სტუდენტი ასახელებს სწორ დებულებას საუნივერსიტეტო

[3] კანონი უმაღლესი განათლების შესახებ - უმაღლესი განათლების შესახებ კანონი 2004 წელს მიიღო საქართველოს პარლამენტამა და მას შემდგომ მრვალჯერ შევიდა მასში ცვლილებები. ეს კანონი აწესრიგებს საქართველოში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელების პროცესს, უმაღლესი განათლების მართვისა და დაფინანსების პრინციპებსა და წესს, ადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დაფუძნების, საქმიანობის, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის წესს, ასევე ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პრინციპებს.

მოწყობის სხვადასხვა საკითხებზე (საშუალოდ 27%). უმრავლესობამ ან არ იცის პასუხი (46%-47%) ან მცდარ დებულებას ემხრობა (საშუალოდ 28%). ***(იხილეთ გრაფიკები #9, #10 და #11)***

ზოგადად, უმაღლესი განათლების შესახებ კითხვარში წარმოდგენილ ყველა საკანონმდებლო საკითხზე, ყველაზე მაღალი ცნობადობა ზუგდიდში გამოკითხულმა სტუდენტებმა გამოავლინეს (პირველი კანონი: 32%, მეორე კანონი: 36%, მესამე კანონი: 19%).

გრაფიკი 9. E6. გთხოვთ წაიკითხოთ ორი განსხვავებული დებულება და მიუთითოთ საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით რომელი წინადადება შეესაბამება სიმართლეს:

დებულება 1: წარმომადგენლობითი საბჭოს შემადგენლობაში შედიან: მხოლოდ სტუდენტები და აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები

დებულება 2: წარმომადგენლობითი საბჭოს შემადგენლობაში შედიან: აკადემიური, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის წარმომადგენლები და სტუდენტები



გრაფიკი 10. E7. გთხოვთ წაიკითხოთ ორი განსხვავებული დებულება და მიუთითოთ საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით რომელი წინადადება შეესაბამება სიმართლეს:

დებულება 1: აკადემიური საბჭო უფლებამოსილია: გადააყენოს რექტორი დაკავებული თანამდებობისგან

დებულება 2: აკადემიური საბჭო არ არის უფლებამოსილი რექტორი გადააყენოს თანამდებობიდან



გრაფიკი 11. E8. გთხოვთ წაიკითხოთ ორი განსხვავებული დებულება და მიუთითოთ საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით რომელი წინადადება შეესაბამება სიმართლეს:

დებულება 1: რექტორი უფლებამოსილია უნივერსიტეტის სახელით დადოს ნებისმიერი ხელშეკრულება და ხელი მოაწეროს მასზე

დებულება 2: რექტორი უფლებამოსილია უნივერსიტეტის სახელით დადოს ნებისმიერი ხელშეკრულება, ხოლო თუ ხელშეკრულება ფინანსებს ეხება მასზე საჭიროა ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ხელმოწერაც



კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ უმაღლეს სასწავლებლებში მხოლოდ ყოველი მესამე გამოკითხული სტუდენტისათვის არის ხელმისაწვდომი გამართული ონლაინ ბიბლიოთეკა და ელექტრონული სისტემა.

თბილისსა და ბათუმში გამოკითხული სტუდენტების უფრო დიდი წილი აცხადებს, რომ მათ უმაღლეს სასწავლებლებში **ონლაინ ბიბლიოთეკა** (თბილისი - 39%, ბათუმი - 38%) და **ელექტრონული სისტემა** (თბილისი - 42%, ბათუმი - 38%) ხელმისაწვდომი და დამაკმაყოფილებელია. აღსანიშნავია, რომ ზუგდიდისა და თელავის უმაღლეს სასწავლებლებში გამართული ონლაინ ბიბლიოთეკა (ზუგდიდი - 67%, თელავი - 60%) და ელექტრონული სისტემა (ზუგდიდი - 67%, თელავი - 53%) უმეტესწილად არ არის ხელმისაწვდომი.

კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ გამოკითხული სტუნდეტების 44%-თვის საგანმანათლებლო სახელმძვანელოები არ არის ხელმისაწვდომი.

ცხრილი 3. B9. - B11. ონლაინ სერვისების ხელმისაწვდომობა უმაღლეს სასწავლებელში

		თბილისი	ქუთაისი	ზუგდიდი	ბათუმი	თელავი	სულ
აქვს თუ არა თქვენს უნივერსიტეტს **ონლაინ ბიბლიოთეკა** და თუ აქვს	აქვს და აკმაყოფილებს	39%	16%	20%	38%	22%	**30%**
	აქვს და ვერ აკმაყოფილებს	38%	37%	13%	33%	19%	**31%**

აკმაყოფილებს თუ არა თქვენს საჭიროებებს?	არ აქვს	23%	47%	**67%**	29%	**60%**	**39%**
აქვს თუ არა თქვენს უნივერსიტეტს არჩევანის უზრუნველყოფის **ელექტრონული სისტემა** და თუ აქვს, აკმაყოფილებს თუ არა თქვენს საჭიროებებს?	აქვს და აკმაყოფილებს	42%	17%	22%	38%	28%	**33%**
	აქვს და ვერ აკმაყოფილებს	39%	46%	11%	40%	19%	**34%**
	არ აქვს	20%	37%	**67%**	22%	**53%**	**34%**
სრული შერჩევითი ერთობლიობა N=		**750**	**300**	**250**	**300**	**250**	**1850**

გრაფიკი 12. B10. საგანმანათლებლო სახელმძღვენელოების ხელმისაწვდომობა



3.4 უმაღლესი განათლების ხარისხი საქართველოში არსებულ სახელმწიფო საგანმანათებლო დაწესებულებებში

ყოველი მეხუთე გამოკითხული სტუდენტის აზრით საქართველოში არსებულ სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მომუშავე ლექტორები / პროფესორები მაღალკვალიფიციურები არ არიან (21%), ხოლო ყოველი მეოთხე რესპონდენტი თვლის, რომ მოცემულ სასწავლებლები არ იძლევა ხარისხიან განათლებას (28%). თუმცა, აღსანიშნავია, რომ სტუდენტების მნიშვნელოვანი წილი მეტნაკლებად ეთანხმება მოსაზრებას ლექტორების / პროფესორებსი მაღალკვალიფიციურობასა (40%) და უმაღლეს სასწავლებელში მიღებული განათლების ხარისხიანობაზე (46%). ზოგადად, გამოკითხული სტუდენტები ლექტორების /

პროფესორების მაღალკვალიფიციურობას ხუთ ქულიან სკალაზე **3.32** ქულით, ხოლო უმაღლეს სასწავლებელში მისაღები განათლების ხარისხს **2.96** ქულით აფასებენ.

გრაფიკი 13. C1. - C2. საქართველოში არსებული სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის /კვალიფიკაციის დონე



N=1850

ზოგადად, ყოველ მესამე სტუდენტს უჭირს შეაფასოს რამდენად კონკურენტუნარიანია უმაღლეს სასწავლებელში მიღებული განათლება საქართველოს დასაქმების ბაზარზე (31%). მოსაზრებები მოცემულ საკითხზე თითქმის თანაბრად იყოფა გამოკითხულებს შორის (პოზიტიური შეფასება - 36%, ნეგატიური შეფასება - 33%). ისინი ვინც უმაღლეს სასწავლებელში მიღებულ განათლებას კონკურენტულად ვერ მიიჩნევენ არსებული დასაქმების ბაზარზე, ძირითადად ვერ ამყარებენ თავიანთ მოსაზრებას არგუმენტების დასახელებით. მათი მცირე ნაწილი ძირითადად მიზეზებად არასათანადო კვალიფიკაციას, განათლების დაბალ ხარისხს და პრაქტიკული კურსის დანერგვის აუცილებლობას მიიჩნევს.

გრაფიკი 14. C3. თვლით თუ არა რომ უნივერსიტეტში მიღებული კვალიფიკაცია გაძლევთ დასაქმების საშუალებას - უარყოფითი პასუხის შემთხვევაში ახსენით მიზეზი





გამოკითხული სტუდენტების თითქმის ნახევარი (46%) მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტში მიღებული უნარები/ცოდნა დღეს დასაქმების ბაზარზე არსებულ მოთხოვნებს მხოლოდ **მეტნაკლებად** პასუხობს. საქართველოში მიღებულ უმაღლეს განათლებას ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად ზუგდიდში გამოკითხული რესპონდენტების ყველაზე მეტი წილი თვლის (35%).

ცხრილი 4. C5. თქვენი აზრით რამდენად პასუხობს უნივერსიტეტში მიღებული უნარები/ცოდნა დღეს დასაქმების ბაზარზე არსებულ მოთხოვნებს?

	თბილისი	ქუთაისი	ზუგდიდი	ბათუმი	თელავი	სულ
სრულიად არ პასუხობს	9%	13%	8%	7%	9%	9%
ნაწილობრივ არ პასუხობს	23%	26%	22%	17%	17%	22%

მეტნაკლებად პასუხობს	49%	44%	35%	52%	44%	46%
ნაწილობრივ პასუხობს	16%	16%	27%	20%	20%	19%
სრულიად პასუხობს	3%	2%	8%	5%	10%	5%
სრული შერჩევითი ერთობლიობა N=	**750**	**300**	**250**	**300**	**250**	**1850**

კვლევის შედეგების თანახმად გამოკითხული სტუდენტების ნახევარი (51%) საქართველოში არსებული სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წლიურ გადასახადს სწავლების ხარისხის არაშესაბამისად მიიჩნევს. ფასს ხარისხის შესაბამისად მხოლოდ ყოველი მეხუთე რესპონდენტი თვლის (17%).

გრაფიკი 15. C4. საქართველოში არსებული სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წლიური გასასახადის შესაბამისობა სწავლების ხარისხთან



რესპონდენტების თითქმის ნახევარი მიიჩნევს, რომ მათ უმაღლეს სასწავლებლებში არსებული საუნივერსიტეტო ცხოვრება არ არის მორგებული სტუდენტებზე (46%). აღსანიშნავია, რომ მოცემულ მოსაზრებას ქუთაისში გამოკითხული სტუდენტების უმრავლესობა აფიქსირებს (61%).

ცხრილი 5. D1. თვლით თუ არა რომ საუნივერსიტეტო ცხოვრება მორგებულია სტუდენტზე?

	თბილისი	ქუთაისი	ზუგდიდი	ბათუმი	თელავი	სულ
კი	38%	24%	46%	26%	34%	**38%**
არა	46%	**61%**	41%	46%	37%	**46%**
არ ვიცი	16%	15%	13%	28%	30%	**16%**
სრული შერჩევითი ერთობლიობა N=	**750**	**300**	**250**	**300**	**250**	**1850**

გამოკითხული სტუდენტების 37% იხსენებს დადებით ასოციაციებს უნივერსიტეტთან დაკავშირებით. მათი მნიშვნელოვანი ნაწილისთვის (40%) პოზიტიური ასოციაციები უმაღლეს სასწავლებლებში შეძენილი მეგობრები და ურთიერთობებია. ***(იხილეთ გრაფიკი #16)***

ყოველი მესამე გამოკითხული სტუდენტი აცხადებს, რომ უარყოფითი ასოციაციები აქვს უნივერსიტეტთან დაკავშირებით (35%). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მათი ნახევარი არ აკონკრეტებს თუ რასთან არის დაკავშირებული ეს ასოციაციები. ზოგიერთი მათგანი ნეგატიურად იხსენებს მოუწესრიგებელ ინფრასტრუქტურას და არაკვალიფიციურ / არაპროფესიონალ კადრებს. ***(იხილეთ გრაფიკი #17)***

რესპონდენტების 37% აცხადებს, რომ მათი უნივესიტეტებში არის საერთო საცხოვრებელი და გამოკითხულების 22% იყენებს მოცემულ ინფრასტრუტურას. ***(იხილეთ ცხრილი #6)***

გამოკითხული სტუდენტების ნახევარი (48%) აცხადებს, რომ საქართველოში არსებული სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაცია სათანადოდ ასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს. ***(იხილეთ ცხრილი #7)***

გრაფიკი 16. D2. ჩამოთვალეთ ყველა დადებითი ასოციაცია რაც გახსენდებათ უნივერსიტეტთან დაკავშირებით.



გრაფიკი 17. D3. ჩამოთვალეთ ყველა უარყოფითი ასოციაცია რაც გახსენდებათ უნივერსიტეტთან დაკავშირებით.



ცხრილი 6. D4. - D5. უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელი

		ქუთაისი	თბილისი	ზუგდიდი	ბათუმი	თელავი	სულ
ფლობს თუ არა თქვენი უმაღლესი სასწავლებელი საერთო საცხოვრებელს?	კი	31%	20%	80%	56%	12%	37%
	არა	52%	57%	14%	17%	59%	43%
	არ ვიცი	17%	23%	6%	27%	29%	20%
თქვენი ინფორმაციით იყენებენ თუ არა უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელს სტუდენტები?	კი	26%	12%	8%	46%	4%	22%
	არა	46%	54%	75%	15%	58%	48%
	არ ვიცი	29%	33%	17%	39%	38%	31%
სრული შერჩევითი ერთობლიობა N=		**750**	**300**	**250**	**300**	**250**	**1850**

ცხრილი 7. D7. თქვენი აზრით, საქართველოში არსებული სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაცია სათანადოდ ასრულებს თუ არა მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს?

	თბილისი	ქუთაისი	ზუგდიდი	ბათუმი	თელავი	სულ
ასრულებს	7%	5%	26%	11%	20%	**12%**
ნაწილობრივ ასრულებს	37%	39%	42%	40%	20%	**36%**
უფრო ასრულებს, ვიდრე არ ასრულებს	13%	8%	16%	13%	8%	**12%**
უფრო არ ასრულებს, ვიდრე ასრულებს	23%	27%	7%	12%	18%	**19%**
საერთოდ არ ასრულებს	7%	9%	2%	5%	4%	**6%**
არ ვიცი/ მიჭირს პასუხის გაცემა	13%	12%	8%	19%	31%	**16%**
სრული შერჩევითი ერთობლიობა N=	**750**	**300**	**250**	**300**	**250**	**1850**

კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ გამოკითხული სტუდენტების ნახევარს (48%) უჭირს შეაფასოს ზრუნავს თუ არა მათი უნივერსიტეტები სტუდენტებზე. ბათუმსა (58%) და თელავში (66%) სტუდენტების უმრავლესობა ვერ აფიქსირებს მოცემულ საკითხზე თავის მოსაზრებას. აღსანიშნავია, რომ ზუგდიდში გამოკითხული სტუდენტების უმრავლესობის აზრით უნივერსიტეტები ზრუნავენ სტუდენტებზე (58%), ხოლო ქუთაისში რესპონდენტების მნიშვნელოვანი ნაწილი საპირისპიროს მიიჩნევს (40%).

გრაფიკი 18. D6. ზრუნავს თუ არა თქვენი უნივერსიტეტი სტუდენტებზე - *ქალაქის ჭრილი*



კვლევის შედეგების თანახმად სტუდენტების მნიშვნელოვანი ნაწილი (40%) ტრასნპორტზე შეღავათებით სარგებლობს, ყოველ მესამე გამოკითხულს სტუდენტური ბარათი აქვს (32%), ხოლო ყოველი მეოთხე რესპონდენტი სტუდენტური დაზღვევით სარგებლობს (24%). აღსანიშნავია, რომ გამოკითხული სტუდენტების 34% არანაირი სოციალური შეღავათით / სერვისით არ სარგებლობს.

ცხრილი 8. E3. თქვენ როგორც სტუდენტი, რომელი სოციალური შეღავათით/სერვისებით სარგებლობთ? - *დასაშვები იყო რამდენიმე პასუხი*

	თბილისი	ქუთაისი	ზუგდიდი	ბათუმი	თელავი	სულ
სტუდენტური დაზღვევა	31%	23%	12%	22%	18%	**24%**
ტრანსპორტის შეღავათები	72%	5%	4%	49%	6%	**40%**
სტუდენტური ბარათით მიღებული შეღავათები	53%	10%	4%	44%	10%	**32%**
კულტურულ დაწესებულებში არსებული შეღავათები	11%	4%	2%	4%	2%	**6%**
სახელმწიფო მომსახურებაში არსებული შეღავათები	16%	14%	3%	8%	2%	**11%**
საერთოდ არ ვსარგებლობ	12%	54%	57%	28%	63%	**34%**
სხვა	16%	22%	26%	25%	20%	**19%**
სრული შერჩევითი ერთობლიობა N=	**750**	**300**	**250**	**300**	**250**	**1850**

სტუდენტების უმრვლესობის აზრით უნივერსიტეტის ადმინისრაციის ხელმძღვანელი ვალდებული უნდა იყოს საჯარო განხილვისთვის წარუდგინოს სტუდენტებს მომდევნო წლის ბუჯეტის პროექტი (74%) და არსებული ფინანსური ანგარიში (70%).

გრაფიკი 19. E9. - E10. უნივერსიტეტის ვალდებულებები



ზოგადად, სტუდენტების ნახევარი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურას მხოლოდ მეტნაკლებად დამაკმაყოფილებლად მიიჩნევს (52%). ზოგადად ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობაზე პასუხისმგებლად სტუდენტებს განათლების სამინისტრო (41%), თავად უნივერსიტეტები (42%) და ასევე ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებები (40%) მიაჩნიათ.

აღსანიშნავია, რომ თელავში გამოკითხულების 44% თვლის, რომ მათი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა არ აკმაყოფილებს და არ შეესაბამება სტუდენტების საჭიროებებს.

გრაფიკი 20. E11. აკმაყოფილებს/შეესაბამება თუ არა უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა სტუდენტების საჭიროებებს? - *ქალაქის ჭრილი*



კვლევის შედგების თანახმად გამოკითხული სტუდენტების მხოლოდ შვიდ პროცენტს მიაჩნია, რომ სტუდენტს სტატუსი ფინასნური დავალიანების გამო არ უნდა უჩერდებოდეს. თუმცა, მათი უმრავლესობა ვერ ასაბუთებს მოცემული მოსაზრების მართებულობას.

გრაფიკი 21. E13. უნდა შეუჩერდეს თუ არა სტუდენტს სტატუსი ფინანსური დავალიანების გამო - პოზიტიური პასუხის შემთხვევაში დაასაბუთეთ



3.5 სტაჟირების და დასაქმების პერსპექტივები სტუდენტებისთვის

კვლევის შედეგების თანახმად სტუდენტების უმრავლესობას უჭირს სამსახურის და სწავლის ერთმანეთთან შეთავსება (58%), ხოლო რესპონდენტების თითქმის ნახევარი მიიჩნევს, რომ მათ დასაქმებაში პირადი კონტაქტების არ ქონა და შრომის ბაზარზე არსებული ნეპოტიზმი უშლის ხელს (46%).

ქუთაისში გამოკითხული სტუდენტების 42% დასაქმებაში დაბრკოლებად უნივერსიტეტის მიერ სათანადო უნარ-ჩვევების არ მოცემას, ხოლო თელავში რესპონდენტების მნიშვნელოვანი ნაწილი (38%), ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობას მიიჩნევს.

უმრავლესობის აზრით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები მათ სტუდენტებს დასაქმებაში უნდა ეხმარებოდნენ (88%) და ასევე სტუდენტური სტაჟირების პროგრამებს უზრუნველყოფდნენ (75%). ***(იხილეთ გრაფიკი #22 და #23)***

ცხრილი 9. E1. რა წინააღმდეგობებს აწყდებიან სტუდენტები, რომლებსაც უნდათ დასაქმება? – *დასაშვები იყო რამდენიმე პასუხი*

	თბილისი	ქუთაისი	ზუგდიდი	ბათუმი	თელავი	სულ
პირადი კონტაქტები/ნეპოტიზმი	54%	50%	31%	33%	51%	**46%**
ვაკანსიის შესახებ ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი	26%	29%	28%	27%	**38%**	**29%**
სამსახურის და სწავლის შეთავსება	64%	66%	49%	54%	41%	**58%**
უნივერსიტეტი ვერ მაძლევს საჭირო უნარ-ჩვევებს	32%	**42%**	7%	29%	25%	**29%**
სხვა	1%	2%	0%	0%	0%	**1%**
სრული შერჩევითი ერთობლიობა N=	**750**	**300**	**250**	**300**	**250**	**1850**

გრაფიკი 22. E2. სტუდენტების დასაქმება



გრაფიკი 23. E4. ეთანხმებით თუ არა დებულებას: უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს სტუდენტური სტაჟირების პროგრამები



სტუდენტების აზრით ხარისხიანი სტაჟირების შედეგად ისინი პირველ რიგში შესაბამისა სამუშაო უნარ-ჩვევებს უნდა იძენდნენ (71%) და იმავდროულად დასაქმების პერსპეტივაც უნდა ჰქონდეთ იმავე კომპანიებში (55%). გამოკითხულების დიდ ნაწილისათვის ასევე მნიშვნელოვანია სტაჟირების დროს მათი პროფესიისთვის საჭირო ცოდნების მიღება (44%).

რესპონდენტების უმრავლესობა თვლის, რომ სტუდენტებისთვის უმაღლეს სასწავლებელში სწავლის პერიოდში სტაჟირება ანაზღაურებადი უნდა იყოს (79%) და სტაჟორები 101-300 ლარს უნდა იღებდნენ თვიურ ანაზღაურებად (62%). ***(იხილეთ გრაფიკი #25 და #26)***

გამოკითხული სტუდენტების მხოლოდ 9% მიიჩნევს, რომ საქართველოში ამჟამად სტაჟორების უფლებები დაცულია. ***(იხილეთ გრაფიკი #27)***

გრაფიკი 24. E5. თქვენი აზრით რას იღებთ ხარისხიანი სტაჟირების შედეგად - *დასაშვები იყო რამდენიმე პასუხი*



გრაფიკი 25. E14. უნდა იყოს თუ არა სტაჟირება ანაზღაურებადი სტუდენტებისთვის უმაღლეს სასწავლებელში სწავლის პერიოდში?



N=1850

გრაფიკი 26. E15. სტუდენტის თვიური ანაზღაურება



გრაფიკი 27. E16. სტაჟორის უფლებების დაცვა